



**სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების,
რეფორმებისა და სწავლების ცენტრი**

წლიური ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

2010 წელი

შესავალი

სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიულობის ერთ-ერთი უმთავრესი ინდიკატორი ობიექტურად, გამჭვირვალედ და პროფესიონალურად ჩატარებული არჩევნებია. არჩევნების ესოდენ დიდი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ იგი უზრუნველყოფს ხელისუფლებაში ხალხის პოლიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობას წარმომადგენლობის მეშვეობით.

არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხი და საარჩევნო უფლებების განხორციელების რეალურობა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის განვითარება, საზოგადოებაში მაღალი საარჩევნო კულტურის ჩამოყალიბება და მაღალკვალიფიციური საარჩევნო ადმინისტრაციის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესის სამართლებრივი და ორგანიზაციული თვალსაზრისით გამართულად წარმართვას. აღნიშნული ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებლობა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად, კანონის კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სისტემაში ახლად შექმნილ ორგანიზაციას - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს დაეკისრა.

აღნიშნული ცენტრი დაფუძნდა 2010 წლის 6 იანვარს, საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად. ცენტრის შექმნის პერიოდი დაემთხვა საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების პერიოდს და ამდენად, გასული, 2010 წელი იყო ტესტი ცენტრისათვის, რომელმაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მის წინაშე მდგარი გამოწვევების დასაძლევად.

ცენტრის მიზანია, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციასა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად სრულად გაამართლოს საზოგადოებრივი მოლოდინი -

სამართლიანი

ობიექტური

გამჭვირვალე

პროფესიონალურ დონეზე ჩატარებული

არჩევნები!

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის შესახებ

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი არის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფოებრივ, საგანმანათლებლო და საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საჯარო საქმიანობას.


ცენტრი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, ცენტრის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

ცენტრი ანგარიშვალდებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინაშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით.

ცენტრის ძირითადი ფუნქციებია:

- საარჩევნო რეფორმების ხელშეწყობა
- კომპეტენციის ფარგლებში საარჩევნო სისტემების სრულყოფის მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება
- არჩევნების მონიტორინგის განხორციელება
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედია-საშუალებების წარმომადგენლების, ამომრჩეველთა კორპუსისა და სხვა დაინტერესებული პირების სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით
- პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ცენტრის სტრუქტურა:



ცენტრის აქტივობა 2010 წლის პერიოდში

საანგარიშო წლის პერიოდში ცენტრმა თავისი საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით განახორციელა. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში შემუშავებული ცენტრის სამოქმედო გეგმის საფუძველზე გამოკვეთილი პრიორიტეტების შესაბამისად, ცენტრმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

□ სასწავლო პროგრამების შემუშავება, იმპლემენტაცია:

- საარჩევნო ადმინისტრაციის ფასილიტატორებისა და ტრენერებისათვის
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისათვის
- პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლებისათვის
- ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის
- პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისათვის
- სასჯელალსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომლებისათვის
- ამომრჩევლებისათვის
- საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისათვის
- საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის

□ დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოების, საინფორმაციო ხასიათის მასალების მომზადება, გამოცემა:

- საარჩევნო ადმინისტრაციის ფასილიტატორებისა და ტრენერებისათვის
- საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის
- საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის
- პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლებისათვის
- სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის
- პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისათვის
- სასჯელალსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომლებისათვის
- საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის
- ამომრჩევლის სამახსოვრო
- ამომრჩევლის სამახსოვრო წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის

- ამომრჩევლის სამახსოვრო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის
- კენჭისყრის პროცედურების ამსახველი თვალსაჩინო მასალა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისა და ამომრჩევლებისათვის
- კენჭისყრის პროცესის ორგანიზაციულად წარმართვის ინსტრუქცია საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისათვის (ე.წ. “Check List”)
- ინსტრუქცია „სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებისათვის“

□ პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება:

- პარტიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პარტიების დაფინანსება
- ჯანსაღი კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით წარმოდგენილი საგრანტო პროექტების საფუძველზე არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება

□ მონიტორინგი:

- სასწავლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი
- საგრანტო პროექტების შესრულების მონიტორინგი
- 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი

□ ცენტრის საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფა:

- ვებ-გვერდის შექმნა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

სასწავლო პროგრამები

□ სასწავლო პროგრამა საარჩევნო ადმინისტრაციის ფასილიტატორებისა და ტრენერებისათვის

2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო კურსის განხორციელების უზრუნველსაყოფად ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის 2010 წლის 16 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე შეიქმნა და მომზადდა ფასილიტატორთა/ტრენერთა კორპუსი.

▪ ფასილიტატორთა და ტრენერთა კორპუსის შექმნა

ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი კომისიის გადაწყვეტილებით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფასილიტატორების ბაზის საფუძველზე შეირჩა 25 ფასილიტატორი, შემდეგი ფუნქციების განსახორციელებლად:


- საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო კურსის ჩატარება
- საჭიროების შემთხვევაში, საარჩევნო ოლქებში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო კურსის ჩატარება
- საარჩევნო ოლქებში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის ტრენერთა მიერ სასწავლო კურსის ჩატარების კოორდინირება და მონიტორინგი.

საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა შერჩევა განხორციელდა კონკურსის წესით. ინფორმაცია შესარჩევი კონკურსის შესახებ განთავსდა ცესკოსა და ცენტრის ვებ-გვერდებზე, ასევე გამოქვეყნდა გაზეთ "24 საათში". ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით 231 კონკურსანტიდან შეირჩა 180 ტრენერი, შემდეგი ფუნქციების განსახორციელებლად:


- საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო კურსის ჩატარება
- საუბნო საარჩევნო კომისიების სწავლების პროცესთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარება.

▪ **ფასილიტატორებისა და ტრენერების მომზადება**

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების სასწავლო პროგრამის განხორციელების დაწყებამდე, შერჩეულმა ფასილიტატორებმა და ტრენერებმა გაიარეს შესაბამისი მოსამზადებელი კურსი. მათი სწავლება უზრუნველყო მომზადდა ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ტრენერთა ჯგუფმა, ერთობლივად შემუშავებული დამხმარე სახელმძღვანელოების მიხედვით.




180 ტრენერი
პერიოდი: 15-25 აპრილი ჩაქვი



□ **სასწავლო პროგრამა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისათვის**

2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო კურსი ჩატარდა ორ დონიანი "კასკადური" მეთოდით.



საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სწავლება განხორციელდა ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ ერთობლივად შემუშავებული და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით დამტკიცებული დამხმარე სახელმძღვანელოების/ინსტრუქციების მიხედვით.

საოლქო საარჩევნო კომისია

სასწავლო მოდულები:

საკანონმდებლო ცვლილებები; საარჩევნო აგიტაცია და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება; ამომრჩეველთა სიების ფორმირების წესი; დამკვირვებლების, საარჩევნო სუბიექტების, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების რეგისტრაციის წესი, უფლება-მოვალეობანი, პასუხისმგებლობა; საუბნო საარჩევნო კომისიისათვის საარჩევნო დოკუმენტაციის/ინვენტარის გადაცემა; კენჭისყრის დღე; კენჭისყრის პროცესი; გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის პროცედურები; საუბნო საარჩევნო კომისიიდან საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება, დახარისხება საოლქო საარჩევნო კომისიაში; კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში; საარჩევნო დავები; საარჩევნო კომისიის წევრთა დისციპლინური და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა; ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი.


საუბნო საარჩევნო კომისია

სასწავლო მოდულები:

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი, სისტემა და შემადგენლობა; საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი; საუბნო საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტები; საჯაროობა არჩევნების მომზადებისას და ჩატარებისას; საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალი; ამომრჩეველთა სიები; საარჩევნო უბნის მოწყობისა და საოლქო საარჩევნო კომისიიდან საარჩევნო დოკუმენტაციის/ინვენტარის მიღების წესი; კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები და მათი უფლებრივი მდგომარეობა; კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები; კენჭისყრის პროცესი; კენჭისყრის პროცესის განსაკუთრებული შემთხვევები; გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემა; გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის პროცედურები; საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები; საარჩევნო ყუთის გახსნა; საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება და დათვლა; შემაჯამებელი ოქმის შედგენა; საარჩევნო დოკუმენტაციის შეფუთვა და საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გადაცემის წესი; კენჭისყრის დღის განცხადებები და საჩივრები; საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის გათალისწინებული პასუხისმგებლობა.

□ სასწავლო პროგრამა პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის


საარჩევნო პროცესში პოლიტიკური პარტიებისა და არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა ხელს უწყობს დაბალანსებული ხელისუფლების კონსტრუირებას. მნიშვნელოვანია, აღნიშნული სუბიექტები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ, რომლებიც საარჩევნო უფლებების სრულყოფილად რეალიზების შესაძლებლობას იძლევა. ამ გარემოებების გათვალისწინებით ცენტრმა 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის შეიმუშავა და შესთავაზა შესაბამისი სასწავლო პროგრამა პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს; ცენტრის მიერ ასევე მომზადდა დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოები, რომლებიც გადაეცათ სასწავლო კურსის მონაწილეებს.



□ სასწავლო პროგრამა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისათვის

არჩევნების საჯაროობის უზრუნველყოფა და საარჩევნო პროცესში მონაწილე სუბიექტებისათვის კონკურენციის თანაბარი პირობების შექმნა, მათ შორის, საეთერო დროის თანაბარი განაწილება, დებატებში მონაწილეობისას ერთნაირი

პირობების შექმნა, აუცილებელი პრინციპებია დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად, რომელთა უზრუნველყოფისა და დაცვის საქმეში მნიშვნელოვანი როლი მედიის წარმომადგენლებს ეკუთვნით. 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის ცენტრმა შეიმუშავა სასწავლო პროგრამა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის წარმომადგენლებისათვის, რომლის ფარგლებშიც მოხდა მათი ინფორმირება საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით მათ კომპენტენციას მიკუთვნებული ფუნქციების შესახებ (ცენტრის მიერ მომზადდა დამხმარე სახელმძღვანელო).



□ სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომლებისათვის

წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული საარჩევნო უფლებების სრულფასოვნად რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრის და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ერთობლივი თანამშრომლობით განხორციელდა სასწავლო კურსი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომლებისათვის, რომელიც მოიცავდა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით შესასრულებელი ფუნქციებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხების განხილვას.

სასჯელადსრულებისა და პრობაციის
სისტემის თანამშრომლები

რაოდენობა: 26 მონაწილე
პერიოდი: 10 მაისი

სასწავლო მოდულები:

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო
საარჩევნო კომისიები, მათი მუშაობის წესი;
კენჭისყრის დღის პროცედურები; წინასწარ
პატიმრობაში მყოფი პირის საარჩევნო უფლებები
და დაცვის გარანტიები; პასუხისმგებლობა
საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის.

□ სასწავლო პროგრამა ამომრჩევლებისათვის

არჩევნების ჩატარების მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ არ შეიძლება არჩევნები განხილულ იყოს, როგორც ტექნიკური პროცედურა, არამედ ის არის პოლიტიკური პროცესის ნაწილი, რომელიც განიხილება ადამიანის უფლებათა რეალიზების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად. არჩევნებში ელექტორატის სრულფასოვანი და კანონმდებლობის დაცვით მონაწილეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია თავად ამომრჩეველი კარგად იყოს ინფორმირებული კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებებისა და მათი დაცვის გარანტიების შესახებ. ცენტრმა ამომრჩევლებისათვის შეიმუშავა შესაბამისი სასწავლო პროგრამა, ჩაატარა სემინარები და სამუშაო შეხვედრები.

ცენტრის მიერ, 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის, სამოქალაქო განათლების კუთხით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- **ამომრჩევლებისათვის საინფორმაციო ხასიათის თვალსაჩინო მასალის მომზადება**
ამომრჩევლთა საარჩევნო უფლებების სრულყოფილად რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და ცენტრმა უზრუნველყო საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ხმის მიცემის პროცედურის ამსახველი საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებული ბუკლეტებისა და პოსტერების შემუშავება, გავრცელება, კერძოდ:
 - ამომრჩევლის სამახსოვრო
 - სამახსოვრო წინასწარ პატიმრობაში მყოფი ამომრჩევლებისათვის
 - სამახსოვრო შუზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებისათვის

- პოსტერები "კენჭისყრის საფეხურები ამომრჩევლებისათვის" (საჯარო გაცნობისათვის გამოიკრა საარჩევნო უბნებზე).

▪ **საინფორმაციო ხასიათის აქცია პირველკურსელი სტუდენტებისათვის**

ცენტრის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო ხასიათის აქცია პირველკურსელი სტუდენტებისათვის მიზნად ისახავდა სტუდენტების მოტივირებას 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად და მათი საარჩევნო კულტურის ამაღლების ხელშეწყობას.

აქციაში მონაწილეობა მიიღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტებმა.

აქციის ფარგლებში:

- სტუდენტებს დაურიგდათ ცენტრის მიერ მომზადებული საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებული ბუკლეტები, სადაც გაწერილი იყო საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ხმის მიცემის პროცედურა
- სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდა ინსცენირებული კენჭისყრის პროცესი
- მოეწყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ მოწოდებული ნახატების გამოფენა
- სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ, ნახატების დათვალიერების შემდეგ შესულიყვნენ სპეციალურად მოწყობილ უბანზე, გაეკეთებინათ თავისი არჩევანი და გამოველინათ საუკეთესო ნახატი
- უბანზე შესვლისას სტუდენტებმა გაიარეს საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი ხმის მიცემის შესაბამისი პროცედურები
- ხმების დათვლის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ნახატის ავტორი
- ლოტოტრონის მეშვეობით გათამაშდა საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული კითხვები, რის შედეგადაც აქციის მონაწილე სტუდენტებს შორის გამოვლინდება "ყველაზე ინფორმირებული ამომრჩეველი".

▪ **ტრენინგი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის კავკასიური სკოლის სტუდენტებისათვის**

საარჩევნო სამართლის დარგში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტების თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით,

ცენტრის წარმომადგენლების მიერ ჩატარდა სპეციალური ტრენინგ-კურსი, რომელზეც თეორიული მასალის გაცნობის პარალელურად სტუდენტების მონაწილეობით განხილულ იქნა არჩევნების ჩატარების პროცესის საჯაროობასა და წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომზადებული პრაქტიკული სავარჯიშოები (კაზუსები). ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 40 სტუდენტმა.

□ სასწავლო პროგრამა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის

საარჩევნო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და ინფორმირებულობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადამიანთა იმ ჯგუფისათვის, რომელიც თავისი პროფესიული საქმიანობითაა დაკავებული, არამედ ასევე ელექტორატისათვის. საზოგადოებაში მაღალი საარჩევნო კულტურის არსებობა საარჩევნო პროცესში ამომრჩეველთა კორპუსის აქტიურ მონაწილეობას განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, არჩევნების ლეგიტიმაციის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ პერიოდში ცენტრმა განაგრძო აქტიური მუშაობა საარჩევნო სფეროში სამოქალაქო განათლების ამაღლების კუთხით. ამ მიმართულებით ცენტრმა განახორციელა ინოვაციური პროექტი, რომლის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნა ახალგაზრდა ამომრჩეველებისათვის - სტუდენტებისათვის საარჩევნო სამართლის დარგში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროგრამის შემუშავება, იმპლემენტაცია.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2010 წლის 28 სექტემბერს და 2 დეკემბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ცენტრსა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაფორმდა „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საარჩევნო სამართლის დარგში სასწავლო პროგრამის განხორციელების შესახებ“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის მონაწილე მხარეებმა გამოხატეს სურვილი, რათა ხელი შეუწყონ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე იურისტების მომზადებას საარჩევნო სამართლის დარგში.

მემორანდუმის ხელმომწერი მხარეებია საქართველოს აკრედიტირებული 14 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მათ შორის, 8 - თბილისში და 6 - რეგიონში მოქმედი უნივერსიტეტი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
3. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4. კავკასიის უნივერსიტეტი
5. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
6. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი
7. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
8. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
9. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი
10. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
11. გორის უნივერსიტეტი
12. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
13. ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
14. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამა გათვალისწინებულია უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო (მე-3, მე-4 კურსის) და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის და მოიცავს:

- ინტენსიური თეორიული და პრაქტიკული სწავლების კურსის განხორციელებას საარჩევნო სამართალში (1 სემესტრი), მათ შორის, საარჩევნო დავების განხილვასთან დაკავშირებით იმიტირებული პროცესებისა და იმიტირებული კენჭისყრის პროცედურების ორგანიზებას
- სტუდენტების სტაჟირებას საარჩევნო ადმინისტრაციაში
- სტუდენტთა შეხვედრების ორგანიზებას საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებთან, დარგის ექსპერტებთან
- სწავლების განხორციელებას იურიდიული კლინიკის ფორმით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

უნივერსიტეტებში ზემოაღნიშნული სასწავლო პროგრამის განხორციელების მიზნით, ცენტრმა საარჩევნო ადმინისტრაციის ფასილიტატორთა/ტრენერთა ბაზიდან შეარჩია და მოამზადა ლექტორები, შეიმუშავა დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოები ლექტორებისა და სტუდენტებისათვის.

სასწავლო პროგრამის პილოტირება დაიწყო გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტსა და თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010 წლის 15 ოქტომბერს, კავკასიის უნივერსიტეტში 2010 წლის 16 ნოემბერს. ამ უკანასკნელში, მემორანდუმისა და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, სწავლების ფორმად განისაზღვრა იურიდიული კლინიკა.

იურიდიულ კლინიკაში სწავლება სამ ეტაპს მოიცავს:

I ეტაპი - თეორიული და პრაქტიკული სწავლების კურსი (2 თვე)

II ეტაპი - დისტანციური სწავლება (ე.წ. "ონლაინ სწავლება", 1 თვე)

III ეტაპი - სტაჟირება საარჩევნო ადმინისტრაციაში (1 თვე)

"იურიდიული კლინიკა" ფუნქციონირებს უშუალოდ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში, საარჩევნო სამართლის კურსს კითხულობენ ცენტრის თანამშრომლები.

მემორანდუმის მონაწილე დანარჩენ უნივერსიტეტებში საარჩევნო სამართლის სასწავლო კურსის დაწყება გათვალისწინებულია 2011 წლის მარტიდან.

დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოები, საინფორმაციო ხასიათის მასალები

საანგარიშო წლის მანძილზე განხორციელებული სასწავლო პროგრამების შესაბამისად ცენტრის მიერ მომზადდა სხვადასხვა დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელო და საინფორმაციო ხასიათის მასალა:

დამხმარე სახელმძღვანელო	კართული	რუსული	აზერბაიჯანული	სომხური	ინგლისური	მომზადდა
საარჩევნო ადმინისტრაციის ფასილიტატორებისათვის	30					ცენტრი/Undp
საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებისათვის	200					ცენტრი/Undp
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის	1000					ცესკო/ცენტრი/Undp
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის	51 000	1300	730	570	150	ცესკო/ცენტრი/Undp
პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებისათვის	150					ცენტრი
სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის	100					ცენტრი
პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისათვის	150					ცენტრი
სასჯელალსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომლებისათვის	250					ცენტრი
ინსტრუქცია „სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებისათვის“	200		15	15		ცენტრი/განათლების სამინისტრო/Undp
საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის	200					ცენტრი

საინფორმაციო ხასიათის მასალა	ქართული	რუსული	აზერბაიჯანული	სომხური	ინგლისური	სხვა	მომზადდა
ამომრჩევლის სამახსოვრო	1 300 000		40 000	25 000			ცესკო/ცენტრი
სამახსოვრო წინასწარ პატიმრობაში მყოფი ამომრჩევლებისათვის	5000						ცენტრი/ Undp/პრობაციის სასწავლო ცენტრი
სამახსოვრო შუზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებისათვის	5000					1500 ბრაილის შრიფტით	ცენტრი/Undp
კენჭისყრის საფეხურები ამომრჩევლებისათვის (პოსტერი)	3500		200	200			ცენტრი/ IFES
კენჭისყრის პროცედურის ამსახველი მასალა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის (პოსტერი)	19000						ცენტრი/ Undp
კენჭისყრის პროცესის ორგანიზაციულად წარმართვის ინსტრუქცია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის (ე.წ. "Check-List")	3700						ცენტრი/Undp

პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30¹ მუხლის საფუძველზე ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად განსაზღვრულია პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული მიმართულებით ცენტრმა, კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, 2010 წლის პერიოდში უზრუნველყო:

- პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, მათ მიერ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებებისა და რეგიონული პროექტების განსახორციელებლად

№	პოლიტიკური პარტიის დასახელება	2010 წელი	
		I კვარტალი	II კვარტალი
1	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	53,520.32	53,520.32
2	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	26,760.16	26,760.16
3	ახალი მემარჯვენეები (ახლები)	5,946.70	5,946.70
4	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	26,760.16	26,760.16
5	პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება"	5,946.70	5,946.70
6	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	26,760.16	26,760.16
7	საქართველოს კონსერვატიული პარტია	26,760.16	26,760.16
8	"ჩვენ თვითონ"	5,946.70	5,946.70
9	ხალხის პარტია	5,946.70	5,946.70
10	მოძრაობა ერთიანი საქართველოს	5,946.70	5,946.70
11	ეროვნული ფორუმი	5,946.70	5,946.70
12	ქართული დასი	5,946.70	5,946.70
13	ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	53,520.32	53,520.32
14	პარტია საქართველოს გზა	5,946.70	5,946.70
სულ		261,654.88	261,654.88
დასახელება		III კვარტალი	IV კვარტალი
საარჩევნო ბლოკი "ალიანსი საქართველოსთვის"			
1	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	12,107.94	12,107.94
2	ახალი მემარჯვენეები (ახლები)	12,107.94	12,107.94
3	ჩვენი საქართველო თავისუფალი დემოკრატები	12,107.94	12,107.94
4	პარტია საქართველოს გზა	12,107.94	12,107.94

5	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	24,215.88	24,215.88
6	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	48,431.79	48,431.79
ეროვნული საბჭო			
7	საქართველოს კონსერვატიული პარტია	16,143.93	16,143.93
8	ხალხის პარტია	16,143.93	16,143.93
9	მოძრაობა "სამართლიანი საქართველოსთვის"	16,143.93	16,143.93
"გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია-ქრისტეან დემოკრატიული მოძრაობა"			
10	ქრისტეან- დემოკრატიული მოძრაობა	48,431.79	48,431.79
11	ჩვენ თვითონ	16,143.93	16,143.93
12	ქრისტეან- დემოკრატიული სახალხო პარტია	16,143.93	16,143.93
13	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	24,215.88	24,215.88
14	ქართული დასი	5,381.31	5,381.31
15	მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის	5,381.31	5,381.31
16	ეროვნული ფორუმი	5,381.31	5,381.31
17	პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება"	5,381.31	5,381.31
	სულ	295,971.99	295,971.99
2010 წლის დაფინანსება ჯამში - 1,115,253.74			

- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საგრანტო პროექტების დაფინანსება, რომელთა მიზნობრიობა უკავშირდებოდა:
 - ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობას
 - პოლიტიკური პარტიების განვითარების, მათ შორის, შიდა პარტიული დემოკრატიის გაძლიერებისა და მათი საქმიანობის საჯაროობის ხელშეწყობას
 - ამომრჩეველთა საარჩევნო კულტურის ამაღლებას, საარჩევნო სფეროში საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამების განხორციელებას ეთნიკურ უმცირესობებზე განსაკუთრებული ფოკუსირებით
 - ელექტორატის მოტივირებას არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად

საგრანტო კონკურსი 17.04.2010					
№	საგრანტო თემატიკა	დაფინანსების ფარგლები	შემოსული განაცხადი	დაფინანსებული ორგანიზაცია	დაფინანსებული პროექტის ღირებულება (ლარი)
1	არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა საარჩევნო სფეროში საქმიანობის ეფექტურად განხორციელების უზრუნველსაყოფად	50 000	4	„ახალი თაობა ახალი ინიციატივა“	50 000
2	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების ინფორმირება საარჩევნო უფლებების შესახებ	50 000	4	„კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“	40 426
3	რეგიონალური პროგრამა ამომრჩევლებისათვის, ვინც პირველად მონაწილეობს არჩევნებში	5 000	11	3.1. „ზიზნეს-ცენტრი“ კახეთი“	4 800
				3.2. გაერთიანებული სტუდენტური კავშირი“	4 975
				3.3. „ეკო-ტურიზმის განვითარების ცენტრი“	4 984.95
				3.4. „გურიის ახალგაზრდული საბჭო“	4 995
4	რეგიონალური პროგრამა ელექტორატის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ამომრჩეველთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და მიზანმიმართული აქტივობების განხორციელების მიზნით	5 000	17	4.1 „ახალგაზრდული ცენტრი“	4 994.80
				4.2 განათლების რეგიონალური ასოციაცია „ქართლი“	4 731
				4.3 „კავშირი სამოქალაქო ინიციატივა წყალტუბოს ახალგაზრდობისათვის“	4 959
				4.4 სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“	4 600
				4.5 სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდული ცენტრი	4 900
				4.6 ასოციაცია „მეგა“	4 994
				4.7 „ახალგაზრდული ინიციატივების განვითარების ცენტრი“	4 827
				4.8 „იმედის სახლი“	4 989
				4.9 „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კავშირი - ბორჯღალო“	4 965
				4.10 არასამთავრობო საზოგადოება „მომავალი“	4 900

			4.11 "ახალგაზრდა ლიდერთა გაერთიანება"	4 970
			4.12 "მრავალეროვანი ახალგაზრდული ცენტრი"	5 000
			4.13 "იურისტთა განვითარების ცენტრი"	4 995
დაფინანსებული ორგანიზაციები - სულ 19				174,005.8

კონკურსის მონაწილეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
 "არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ საგრანტო პროექტებს "რეგიონალური პროგრამა ამომრჩევლებისათვის, ვინც პირველად მონაწილეობს არჩევნებში" და "რეგიონალური პროგრამა ელექტორატის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ამომრჩეველთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და მიზანმიმართული აქტივობების განხორციელების მიზნით (GO TO VOTE)" რეგისტრირებულნი უნდა იყვნენ საქართველოს რეგიონებში (თბილისის გარდა).".

საგრანტო კონკურსი 29.10.2010					
№	საგრანტო თემატიკა	დაფინანსების ფარგლები	შემოსული განაცხადი	დაფინანსებული ორგანიზაცია	დაფინანსებული პროექტის ღირებულება (ლარი)
1	აქტიურ ამომრჩეველთა ქსელი - ამომრჩეველთა განათლების წყარო	50 000	17	1.1.დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების საზოგადოება	49 600
				1.2.ბიზნეს-ცენტრი „კახეთი“	9 999
				1.3.ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი საქართველო	10 000
				1.4.მედია ჯგუფი - კრეატივი	10 000
				1.5.ახალგაზრდა ინიციატორთა კლუბი	9 352
				1.6.ააიპ საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი	49 500
2	ეთნიკურ უმცირესობათა სამართლებრივი განათლების ამაღლების ხელშეწყობა დემოკრატიული არჩევნების არსისა და ორგანიზაციული	50 000	14	2.1. ა.ა.ი. პ -ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი	49 151.75
				2.2. საქართველოს ახალგაზრდა მედიკოსთა კავშირი	10 275

	თავისებურებების შემეცნებაში			2.3. ფონდი ALPE	46 760
3	პოლიტიკური პარტიების რეგიონული განვითარების ხელშეწყობა	50 000	12	3.1. განათლების რეფორმის საზოგადოებრივი მონიტორინგის ცენტრი	21 986.60
				3.2. ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო (ELSA)	9 991
				3.3. ახალი ხედვა - ახალი საქართველო	49 776
				3.4. სახელმწიფო ადმინისტრაციული-ტერიტორიული მოწყობის სტრატეგიული კვლევის ცენტრი	49 660
დაფინანსებული ორგანიზაციები - სულ 13					376,051.35
<p>დამატებითი მოთხოვნები საგრანტო პროექტებთან დაკავშირებით:</p> <p>”1. საგრანტო პროექტი ”აქტიურ ამომრჩეველთა ქსელი - ამომრჩეველთა განათლების წყარო” უნდა განხორციელდეს ორ რეგიონში - კახეთი ან ქვემო ქართლი</p> <p>2. საგრანტო პროექტები ”ეთნიკურ უმცირესობათა სამართლებრივი განათლების ამაღლების ხელშეწყობა დემოკრატიული არჩევნების არსისა და ორგანიზაციული თავისებურებების შემეცნებაში” და ”პოლიტიკური პარტიების რეგიონული განვითარების ხელშეწყობა” უნდა განხორციელდეს საქართველოს რეგიონებში (გარდა თბილისისა).”.</p>					

მონიტორინგი

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ცენტრმა, საანგარიშო წლის პერიოდში, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყო ფართომასშტაბიანი მონიტორინგის განხორციელება სამი ძირითადი მიმართულებით:

- 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის სტატუსით
- საარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასწავლო კურსების მიმდინარეობის მონიტორინგი
- საგრანტო კუნძურსის შედეგად დაფინანსებული პროექტების შესრულების მონიტორინგი.

სისტემატიზირებული მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრის მიერ:

- შემუშავდა მონიტორინგის სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა სამიზნე ჯგუფები, მონიტორინგის მასშტაბი და ვადები
- შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფები
- მონიტორინგის ჯგუფის წევრებს ჩაუტარდათ სპეციალური ინსტრუქტაჟი, რომელიც შეეხებოდა მათ მიერ მონიტორინგის განხორციელებისა და შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში რეაგირების მეთოდებს
- განხორციელდა ანალიტიკური პროცედურა, რომლის შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა ცენტრის 2011 წლის სამოქმედო გეგმა.


▪ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასწავლო კურსების მონიტორინგი

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების დასწრების სტატისტიკა:


საერთო რაოდენობა - 949

დამსწრეთა რაოდენობა - 854

დასწრების კოეფიციენტი - 89,9%



საოლქო საარჩევნო კომისიების დამსწრე წევრეთა გენდერული შემადგენლობა




საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დასწრების სტატისტიკა:

I ეტაპი - თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი (1 – 5 მაისი)


საერთო რაოდენობა-10842

დამსწრეთა რაოდენობა - 9812

დასწრების კოეფიციენტი- 90,5%



I ეტაპი - საუბნო საარჩევნო კომისიების დამსწრე წევრეთა გენდერული შემადგენლობა




II ეტაპი - საუბნო საარჩევნო კომისიის 13 წევრი (8 – 22 მაისი)


საერთო რაოდენობა - 46 982

დამსწრეთა რაოდენობა - 39 087

დასწრების კოეფიციენტი - 83,1%



II ეტაპი - საუბნო საარჩევნო კომისიების დამსწრე წევრეთა გენდერული შემადგენლობა




III ეტაპი - თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი (23 – 25 მაისი)


საერთო რაოდენობა - 10842

დამსწრეთა რაოდენობა - 9405

დასწრების კოეფიციენტი - 86,7%




III ეტაპი - საუბნო საარჩევნო კომისიების დამსწრე წევრეთა გენდერული შემადგენლობა



IV ეტაპი - გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დასწრების სტატისტიკა:

საერთო რაოდენობა - 936
დამსწრეთა რაოდენობა - 828
დასწრების კოეფიციენტი- 88,4%



მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ საარჩევნო კომისიის იმ წევრებს, რომლებიც ვერ დაესწრნენ სასწავლო კურსის გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში ტრენინგებს, ცენტრის ორგანიზებით ჩაუტარდათ დამატებითი ტრენინგები.

მონიტორინგის პერიოდში შეიცვალა რამოდენიმე ფასილიტატორი და ტრენერი, აღნიშნული ვაკანსია შეივსო სარეზერვო ჯგუფიდან.

▪ 2010 წლის 17 აპრილის საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსებული პროექტების შესრულების მონიტორინგი

ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "გრანტის გაცემის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულების" შესაბამისად, ცენტრმა საგრანტო პროექტების შესრულების მონიტორინგის შედეგად განახორციელა:

- პროექტებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ანალიზი
- თანხების მიზნობრივად და გამჭირვალედ ხარჯვის შეფასება.

მონიტორინგი უზრუნველყოფილ იქნა შემდეგი ფორმით:

- შუალედური მონიტორინგი (არასამთავრობო ორგანიზაციის საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების კონტროლი გასვლითი შემოწმებების საფუძველზე)
- შემაჯამებელი მონიტორინგი (არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი პროექტის შესრულების შემაჯამებელი ანგარიშის შეფასება)
- დამოუკიდებელი აუდიტი (აუდიტორი: სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო")

მონიტორინგის შედეგად საგრანტო პროექტების შესრულება დადებითად იქნა შეფასებული, პროექტები განხორციელდა საგრანტო კონკურსის მოთხოვნების შესაბამისად, ფინანსური და სამართლებრივი სახის დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.

ცენტრის საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფა

ცენტრის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების ფართო მასების წარმომადგენელთა ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრის მიერ შეიქმნა ოფიციალური ვებ-გვერდი. ვებ-გვერდი ფუნქციონირებს ორ ენაზე. მისი დიზაინი და სტრუქტურა შეიცავს გამარტივებულ საძიებო სისტემას, რომელიც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევს მაქსიმალურად იოლად მოიძიონ სასურველი ინფორმაცია. ვებ-გვერდის ტექნიკური ბაზა მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას საიტოიდან ინფორმაცია მიიღოს შეფერხების გარეშე.

ცენტრი სისტემატურად ანახლებს ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფს ცენტრის აქტივობების შესახებ ინფორმაციის დროულ მიწოდებას დაინტერესებული პირებისათვის.

ვებ-გვერდზე ფუნქციონირებს ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია ცენტრის მიერ მომზადებული პუბლიკაციები.